Environment and Society, No.6,December,2022, pp.26-54

აფხაზური და ოსური ნაციონალიზმი როგორც სეპარატიზმის საფუძველი

ზურაბ დავითაშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

ელ.ფოსტა: zurab.davitashvili@tsu.ge

ABSTRACT

Nationalism is one of the main reasons of separatism and in a lot of cases it is the main cause of this phenomenon. After Russia actively started supporting Abkhazian and Ossetian separatism in Georgia and eventually even recognized independence of these so-called "states", a perception was created that Russia was almost the sole driving force behind both conflicts in Georgia and that Abkhazian and Ossetian political leaders were only acting on Russian directives. In our opinion, the roots of those conflicts are deeper and they were inevitable, since there was irreconcilable opposition between Georgian national idea on the one hand, and the Abkhazian and Ossetian national ideas on the other.

Obviously, the influence and the support of Russian politics on the formation of Abkhazian and Ossetian national ideas and Abkhazian and Ossetian nationalism is generally large, however, it would be wrong to only focus on Russian factors.

One thing that can be said for sure is that the establishment and encouragement of Abkhazian and Ossetian nationalism by Russia serves imperial interests and represents a weapon against Georgian nationalism, which had its own explanation.

Among the peoples of the Russian empire, Georgians and Polish were the only ones who had their statehood at a time when they became parts of Russia. Therefore, for them Russia was a conqueror and a claimer of the state (in case of Georgia also Religious) independence. In such case, the goal of the people is to restore the lost independence and their

nationalism also serves this purpose. It is clear that Russia would not allow this and with other methods would also try to incite ethnic "strife" and encourage nationalistic attitudes against „dangerous and unreliable" people by some other smaller peoples and itself would appear as their protector and savior. In order to achieve this goal, it was neccessary to support the formation and development of nationalism of various minorities living in the territorry of „unreliable people". In case of Georgia, Abkhazians and Ossetians were the ones representing such small peoples.

Abkhazians were declared "guilty people" by the empire for fighting against Russia during the Caucasus wars, more than half of them were sent to Turkey and the rest were banned from living along the coast and a number of restrictions were imposed on them. Since the beginning of XX century, Russia drastically changes its policy towards Abkhazians and not only removes all restrictions, but contributes in every way to the development of Abkhazian national self-consciousness, creation of alphabet and establishment of Abkhazian intelligentsia. This did not happen due to caring for Abkhazians, but in order to prevent their "Georgianization", for them to become as alienized as possible from Georgians and get into a conflict with them. Perception was established that Abkhazians do not have anything in common with Georgia, that it was a country of ancient history and culture and during Soviet period it was being outlined that the Soviet Republic of Abkhazia's status had been specially demoted to the status of autonomous republic and was illegally turned into part of Georgia and Abkhazian children were raised with this belief. As for Abkhazian intelligentsia, it was cut isolated from Georgian sphere. Abkhazians used some of the mistakes of the Georgian central government and raised alarm that Georgian demographic expansion was taking place in Abkhazia, schools and the alphabet were attempted to be alianized and the existence of Akbhazian ethnos was in danger. In one word, image of Georgian as an enemy was formed.

Georgian national vision that Abkhazia is one of Georgia's regions and Abkhazian vision that Abkhazia and Georgia are different countries have found themselves in irreconcilable conflict with each other. In a situation like this, conflict is inevitable and when the conditions for it were created, it happened.

Ossetian nationalism did not have the same support from Russia as did the Abkhazian. Ossetians themselves do not deny that they migrated to Georgia from north Caucasus, therefore, their historical homeland is across the Caucasus. Their official status was also „Khizani"(refugee). At the beginning of XX century, Russia seems to have come to conclusion that the Ossetians could be also used against Georgian nationalism and removed the status of „khizani". Ossetians turned into ordinary peasants, who obeyed the emperor and the lands owned by Georgian nobles, where they settled as 'khizani', became their property. With this step Russia increased the number of loyal citizens , for whom Russia was a protector and the Georgians were their rivals. This explains the fact that among people living in Georgia, Ossetians most strongly opposed the creation of the Democratic Republic of Georgia and organized three uprisings led by the Bolsheviks.

The Soviet government appreciated them and after the sovietization of Georgia, created administrative-territorial autonomy for Ossetians in the heart of Georgia, within completely artificial borders. Most importantly, this autonomy was given a previously unknown name – South Ossetia. Thus, with one stroke of the hand, a large part of Shida Kartli became Ossetia. After this, Ossetians living in the area have been thinking that they live in Ossetia. Ossetia, on the other hand has been illegaly divided between North Ossetia (as part of Russia) and South Ossetia (as part of Georgia). Therefore, Ossetians became a divided nation and by their belief, as a divided nation, they have the full right to be reunited, with North and South uniting under the United Ossetian Republic as part of Russian Federation. Clearly, this type of national vision

was contrary to Georgian national vision, according to which the existence of Ossetia in the south of Caucasus mountains is inconceivable and thus this illegal autonomy had to be abolished. Such incompability between Georgian and Ossetian national ideas would inevitably lead to conflict, and it did.

As we can see, Abkhazian and Ossetian separatisms have very solid basis in the form of Abkhazian and Ossetian nationalism. Therefore, even without the Russian support for separatists this nationalism will be a serious obstacle in resolving these conflicts and restoring Georgia's territorial integrity.

შესავალი

სეპარატიზმის მიზეზებს შორის ნაციონალიზმი ერთ-ერთი უმთავრესია და ხშირ შემთხვევაში სწორედ ის გვევლინება ამ მოვლენის ძირითად გამომწვევ ფაქტორად. მას შემდეგ, რაც რუსეთმა აქტიურად დაუჭირა მხარი აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს საქართველოში და ბოლოს ცნო კიდეც ამ ე.წ. სახელმწიფოების „დამოუკიდებლობა", შეიქმნა წარმოდგენა, რომ საქართველოში მომხდარი ორივე კონფლიქტის ლამის ერთადერთი წარმმართველი ძალა რუსეთი იყო და აფხაზი და ოსი პოლიტიკური ლიდერები მხოლოდ რუსეთის დირექტივებს ახორციელებდნენ. ჩვენი აზრით, მომხდარი კონფლიქტების და ეთნიკური დაპირისპირების მიზეზები უფრო ღრმაა და გარდაუვალიც კი იყო, რადგან ერთის მხრივ ქართულ და მეორე მხრივ აფხაზურ და ოსურ ნაციონალურ იდეებს შორის იყო შეურიგებელი წინააღმდეგობა. ცხადია აფხაზურ და ოსურ ნაციონალურ იდეების ჩამოყალიბებაზე და ზოგადად აფხაზურ და ოსურ ნაციონალიზმზე რუსული ოფიციალური პოლიტიკის გავლენა და მხარდაჭერა ძალიან დიდია, მაგრამ მხოლოდ რუსეთის ფაქტორზე აპელირება სწორად არ მიგვაჩნია.

ერთი, რაც შეიძლება დანამდვილებით ითქვას, არის ის, რომ აფხაზური და ოსური ნაციონალიზმის ჩამოყალიბება და მისი წახალისება რუსეთის მიერ, ემსახურებოდა იმპერიის ინტერესებს და წარმოადგენდა იარაღს ქართული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რასაც თავისი ახსნა ჰქონდა.

რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს შორის მხოლოდ ქართველები და პოლონელები იყვნენ, რომლებსაც თავიანთი სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ იმ დროს, როცა ისინი რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ. ამდენად, რუსეთი მათთვის დამპყრობელი და სახელმწიფოებრივი (ქართველების შემთხვევაში აგრეთვე საეკლესიო) დამოუკიდებლობის წამრთმევი იყო. ასეთ შემთხვევაში ხალხის მიზანი დაკარგული სუვერენიტეტის აღდგენაა და მათი ნაციონალიზმიც ამ მიზანს ემსახურება. ცხადია, რომ რუსეთი ამას არ დაუშვებდა და სხვა მეთოდებთან ერთად გამოიყენებდა

ეთნიკური შუღლის გაღვივების მცდელობებს და წაახალისებდა „საშიში და არასაიმედო“ ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ნაციონალისტურ განწყობებს სხვა, უფრო მცირერიცხოვანი ხალხების მხრიდან და თვითონ მათ დამცველად და მხსნელად მოგვევლინებოდა. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელი იყო „არასაიმედო ხალხის“ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა უმცირესობების ნაციონალიზმის ჩამოყალიბების და განვითარების მხარდაჭერა. საქართველოს შემთხვევაში ასეთი მცირერიცხოვანი ხალხები აფხაზები და ოსები იყვნენ.

მიზანი, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ნაციონალიზმის როლი სეპარატიზმის ფენომენში და დაამტკიცოს, რომ აფხაზური და ოსური სეპარატიზმის მთავარი საფუძველი არის აფხაზური და ოსური ნაციონალიზმის მიერ ჩამოყალიბებული ამ ხალხების ნაციონალური იდეა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ქართულ ნაციონალურ იდეას და კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი ფაქტორია.

მთავარი საკვლევი კითხვაა: რა როლი ითამაშა ნაციონალიზმმა აფხაზური და ოსური სეპარატიზმის ფორმირებაში და რამ განაპირობა ამ ნაციონალიზმის ანტიქართული ხასიათი?

სამუშაო ჰიპოთეზაა, რომ აფხაზური და ოსური ნაციონალიზმის სეპარატისტული და ანტიქართული შინაარსის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა რუსეთის იმპერიის და შემდეგ საბჭოთა კავშირის გამიზნულმა პოლიტიკამ, შეექმნა სერიოზული წინააღმდეგობა ქართული ნაციონალური იდეისა და ქართული ნაციონალიზმისათვის, რომლის მიზანიც იყო ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და რაც სრულიად მიუღებელი იყო რუსული და საბჭოთა ოფიციალური პოლიტიკისათვის.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი და მიმოხილვა.

ასევე გამოიყენება შედარებითი ანალიზის მეთოდი. განხილულია აფხაზური და ოსური სეპარატისტული ნაციონალიზმის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რომელთა განზოგადების საფუძველზე კეთდება საერთო დასკვნა სეპარატისტული ნაციონალიზმის თავისებურებების შესახებ.

თეორიული ჩარჩო

ზოგადი თეორიული ჩარჩო, რომელსაც ეყრდნობა ნაშრომი, არის კონსტრუქტივიზმი, თეორია, რომელიც მიიჩნევს, რომ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ახსნის საფუძველი არის იდეები, აღქმები, წარმოდგენები ანუ თვით ადამიანების მიერ კონსტრუირებული სამყარო. კონსტრუქტივიზმი იმდენად ფართო და ყოვლისმომცველი ხედვაა, რომ ზოგიერთი მეცნიერი მას არა თეორიად, არამედ მიდგომად მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც რეალობა ისეთია, როგორადაც მას აღიქვამენ (აკობია,2006). შესაბამისად, კონსტრუქტივიზმი ერთის მხრივ უპირისპირდება მთავარ პოლიტიკურ თეორიებს (რეალიზმი, ლიბერალიზმი, მარქსიზმი), მეორეს მხრივ კი ფარავს მათ, რადგან კონსტრუქტივიზმს შეუძლია ნებისმიერი თეორიის კუთხით დანახული სამყარო მიუსადაგოს აღქმებს და წარმოდგენებს (აკობია et al., 2021).

კონკრეტული თეორია, რომელსაც ეყრდნობა წინამდებარე ნაშრომი, არის ნაციონალიზმის ის თეორია, რომელიც მოდერნიზმის სახელით არის ცნობილი. ამ თეორიის მიხედვით, ერები ისტორიის ახალი პერიოდის ფენომენია და ლაპარაკი ძველი მსოფლიოს ან შუა საუკუნეების ერებზე, უაზრობაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოდერნიზმის მთავარი დებულება, რომ ერები შექმნილი, კონსტრუირებული რეალობაა. ნაციონალიზმი ქმნის ერებს და არა ერები

ნაციონალიზმს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ყალიბდება საერთო ლიტერატურული ენა, განათლების ერთიანი სისტემა, ეროვნული პრესა, ერთიანი ეროვნული ბაზარი და ბოლოს საერთო ეროვნული თვითშეგნება. ყოველივე ეს კი შესაძლებელია ახალი ისტორიის პერიოდში და ამის შემოქმედი ახლადწარმოქმნილი ინტელექტუალური ფენა, ინტელიგენციაა. სწორედ ამ ფენის წარმომადგენლები აყალიბებენ საერთო, ყველასათვის გასაგებ ლიტერატურულ ენას, აარსებენ სკოლებს, თეატრს, გამოსცემენ ჟურნალ-გაზეთებს, „იგონებენ“ ისტორიას და გეოგრაფიას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული თვითშეგნების წარმოქმნას და გაძლიერებას და შექმნას ნაციონალური იდეა, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკუთარ თავზე გაყალბებულ და გაზვიადებულ წარმოდგენას იძლევა და ზოგჯერ სხვა ერებისგან მტრის ხატად წარმოჩენას გულისხმობს (Ozkirimli, 2000).

იმისდა მიხედვით, თუ რა ფაქტორებია მიჩნეული ერის ჩამოყალიბების საფუძვლად, მოდერნიზმში გამოიყოფა სამი მიდგომა: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული. ჩვენ ვეყრდნობით სოციალურ-კულტურულ მოდერნიზმს, მიდგომას, რომელიც ერებს მიიჩნევს წარმოსახვით საზოგადოებებად (ანდერსონი, 2003). მიგვაჩნია, რომ აფხაზურიც და ოსური ნაციონალიზმიც და ამ ერების ჩამოყალიბებაც სოციალურ-კულტურულ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. კერძოდ აფხაზური და ოსური დამწერლობების შექმნა, ამ ხალხების ისტორიის გამოგონება და ამის საფუძველზე საკუთარი თავის აღქმა იყო ის ძირითადი საფუძველი, რამაც აფხაზი და ოსი ერები (ასე აღიქვამენ ისინი თავს) წარმოქმნა. თუმცა ეს არ მომხდარა მხოლოდ ადგილობრივი ინტელიგენციის დამსახურებით. უმნიშვნელოვანესი (თუ მთავარი არა) როლი ითამაშა რუსულმა (და საბჭოთა) იმპერიულმა პოლიტიკამ, რამაც განაპირობა კიდეც აფხაზური და ოსური ნაციონალიზმის თავისებურება და მათი ანტიქართული ხასიათი.

შინაარსი და ძირითადი მიგნებები

იმისათვის, რომ წარმოდგენა მოგვეცეს სეპარატისტული ნაციონალიზმის ძირითად თავისებურებებზე და ნიშნებზე, მიზანშეწონილია ცალ-ცალკე იქნას განხილული აფხაზური და ოსური ნაციონალიზმი და მათი შედარების საფუძველზე გამოვლინდეს ის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც მათთვისთვისაა დამახასიათებელი და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები.

აფხაზური ნაციონალიზმი

აფხაზური ნაციონალიზმი XX საუკუნის ფენომენია და მისი ჩასახვა და განვითარება ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა. აფხაზური ნაციონალიზმი ძალზე თავისებური და უნიკალური მოვლენაა, რადგან მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში გადამწყვეტი როლი რუსეთის გამიზნულმა პოლიტიკამ ითამაშა. ამას თავისი მიზეზები და მიზნები ჰქონდა.

აფხაზეთის სამთავრო, ისე როგორც სხვა ქართული სამეფო-სამთავროები, რუსეთმა XIX საუკუნის დასაწყისში შეიერთა. აფხაზეთის მთავრები ქართული წარმოშობის ფეოდალები (შერვაშიძეების დინასტია) იყვნენ და როგორც წესი ქართული ორიენტაციას უჭერდნენ მხარს. მაგრამ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა (სავარაუდოა, რომ ამ პერიოდისათვის სამთავროს მოსახლეობის 2/3-ს ეთნიკური აფხაზები, ხოლო 1/3-ს ქართველები შეადგენდნენ) (თოთაძე, 1993). ისლამის გავლენით, მოწყვეტილი იყო ქრისტიანულ კულტურას და რუსეთთან შეერთებას უარყოფითად შეხვდა. აფხაზები იარაღით იბრძოდნენ რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების წინააღმდეგ და რუსეთ-თურქეთის ომებში თურქეთს უჭერდნენ მხარს. ამის გამო კავკასიის ომების დამთავრების შემდეგ რუსეთის მთავრობამ აფხაზების თითქმის ნახევარი თურქეთში გადაასახლა, დარჩენილებს ზღვისპირა ზოლში ცხოვრება აუკრძალა და დამნაშავე ხალხად გამოაცხადა(თოთაძე, 1993).

ამგვარად აფხაზებმა იგივე ბედი გაიზიარეს, რაც ჩრდილოეთ კავკასიის მეამბოხე ხალხებმა (ჩერქეზებმა, ჩეჩნებმა, ინგუშებმა და დაღესტნელებმა). მაგრამ XX საუკუნის

დასაწყისიდან დამოკიდებულობა აფხაზების მიმართ რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების მიერ დიამეტრალურად შეიცვალა და ისინი უცებ პრივილიგირებულ ხალხად იქცნენ.

ამის მიზეზი კი შემდეგი იყო:

როგორც უკვე ითქვა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ხალხებს შორის ქართველები ის იშვიათი გამონაკლისი იყვნენ, რომლებსაც ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ისტორია ჰქონდათ და რუსეთთან შეერთებამდე ფორმალურად ირანთან და ოსმალეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ, ფაქტობრივად კი დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებს წარმოადგენდნენ. მათი სახელმწიფოებრიობის გაუქმება რუსეთმა მოახდინა. ამიტომ საკუთარი სახელმწიფოს აღდგენის იდეა ქართველ ხალხში, ყოველთვის იდგა. XX საუკუნის დასაწყისისათვის, როცა ქართული ნაციონალიზმი უკვე ანგარიშგასაწევი ძალა იყო და საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლა ხორცს ისხამდა, რუსეთის მმართველმა ელიტამ განსაზღვრა, რომ ავტონომია მხოლოდ ეტაპია და ძირითადი მიზანი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა იქნებოდა. ამიტომ საჭირო იყო, ისეთი დაბრკოლებების გამოძებნა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევას შეაფერხებდა და ქართველი ხალხის ყურადღებას სხვა რამეზე გადაიტანდა. ასეთი დაბრკოლება კი საქართველოს ტერიტორიის დაქუცმაცება იქნებოდა და აფხაზეთი ამ მხრივ ყველაზე მოსახერხებელი რეგიონი იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი ქვეყნის განაპირა, ძალიან ლამაზი და ქართველებისათვის ძნელად დასათმობი ტერიტორია იყო, მეორეც იმიტომ რომ აფხაზეთში დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ენობრივი თუ კულტურულ-რელიგიური ძაფები უკვე გაწყვეტილი იყო.

ამ მიზნის მისაღწევად სჭირო იყო ქართული ენის საბოლოო გამოდევნა აფხაზეთიდან, რის მისაღწევადაც ყველაზე მოხერხებული ნაბიჯი იქნებოდა აფხაზური დამწერლობის შექმნა. ამის შესახებ დაუფარავად წერდნენ რუსი ავტორები. ე.

ვედენბაუმის აზრით "აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია ანბანი და ლიტერატურა, ახლო ან არც თუ ისე შორეულ მომავალში განწირულია დასაღუპად. საკითხავია, რომელი ენა შეცვლის მას? ნათელია, რომ კულტურული იდეებისა და ცნებების გავრცელების ენად უნდა იქცეს არა ქართული, არამედ რუსული. მიმაჩნია, რომ აფხაზური დამწერლობითი ენის შემოღება არ უნდა იყოს თვითმიზანი, არამედ საშუალება, რომ მისი მეშვეობით შევასუსტოთ ეკლესიასა და სკოლაში ქართული ენის მნიშვნელობა და ის თანდათანობით ჩავანაცვლოთ სახელმწიფო ენით“ (გაჩეჩილაძე 2013), ხოლო ნ. ტრუბეცკოი წერდა „ აფხაზეთში ოფიციალურ ენად აფხაზური უნდა იქნას აღიარებული. აგრეთვე საჭიროა აფხაზური ინტელიგენციის განვითარების წახალისება და მისთვის გაქართველების წინააღმდეგ ბრძოლის შეგნების შთაგონება“ (Трубецкой, 2013).

ამგვარად აფხაზური დამწერლობის შექმნა და აფხაზური ენისათვის რაღაც სტატუსის მიცემა მიზნად ისახავდა ქართული ენისა და კულტურის მოსპობას აფხაზეთის ტერიტორიაზე და აფხაზი და ქართველი ხალხების გაუცხოება-დაშორებას. ქართული ენის ცოდნის საჭიროება აფხაზებისათვის აღარ არსებობდა. რაც მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ქართულ კულტურისაგან საბოლოოდ მოწყვეტის გზაზე. საკუთარი დამწერლობის შექმნამ აფხაზ ხალხში დაბადა რწმენა, რომ ისინი სრულიად განსხვავებული ერია ქართველებისაგან. ეს კი ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია თეზისებისათვის "აფხაზეთი არ არის საქართველო".

მეორე აუცილებელი ნაბიჯი, რასაც ხელი უნდა შეეწყო აფხაზური ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის იყო მისი ისტორიის ისეთნაირად წარმოჩენა, რომ აფხაზებს თავიანთი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. ისტორიული აფხაზეთი დამოუკიდებლი და მაღალი კულტურის ქვეყანა იყო და მის ქართულ სახელმწიფოდ ან საქართველოს ნაწილად განხილვა მცდარია. ეს იდეა დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა ქართულ ისტორიულ ტრადიციას, რომლის

მიხედვითაც აფხაზეთი ყოველთვის იყო ან საქართველოს პროვინცია ან ქართული პოლიტიკური ერთეული (სადაც სახემწიფო ენა მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო და ყველა არსებული ისტორიული ძეგლი ქართულ კულტურას მიეკუთვნება). XX საუკუნის დასაწყისში რუსულ პრესაში იბეჭდებოდა რუსი ავტორების წერილები, რომელთა ძირითადი აზრი, იყო აფხაზეთის ისტორიის ძალზე გაზვიადებული წარმოდგენა და რაც მთავრია მისი დამოუკიდებლობა საქართველოს ისტორიისაგან. ცხადია აფხაზეთის ისტორიის და კულტურის ასეთი წარმოჩენა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა აფხაზ ხალხზე და აძლიერებდა საფუძველს აფხაზური ნაციონალიზმის განვითარებისათვის.

ამგვარად ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიაში ჩასახული აფხაზური ნაციონალიზმის ძირითადი იდეა იყო ყველანაირად განემტკიცებინა და ჩაენერგა აზრი, რომ აფხაზეთი არ არის საქართველოს ნაწილი, ხოლო აფხაზებს თავიანთი ისტორიით და კულტურით თითქმის არაფერი აქვთ საერთო ქართველებთან. მართალია კითხვაზე რა არის აფხაზეთი განსხვავებულ პასუხებს შეხვდებოდით "აფხაზეთი ეს რუსეთია" ან "აფხაზეთი ცალკე ქვეყანაა", მაგრამ საქართველოსთან დამოკიდებულებაში აფხაზური ნაციონალიზმი პასუხი ცალსახა იყო "აფხაზეთი არ არის საქართველო". თუმცა ეს არ გამოხატავდა მთელი აფხაზი ხალხის აზრს. აფხაზეთის არისტოკრატია (თავად-აზნაურული ინტელიგენცია) ქართული ორიენტაციის იყო და აფხაზეთს საქართველოს ნაწილად მიიჩნევდა.

როცა რუსეთის იმპერია დაემხო და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა, აფხაზეთი ავტონომიური ერთეულის სტატუსით შევიდა საქართველოს შემადგენლობაში. (ეს იყო აფხაზეთის ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებაც, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის მიერ იყო არჩეული). ბოლშევიკურმა რუსეთმა აფხაზ კომუნისტებზე დაყრდნობით მოახდინა შეიარაღებული აჯანყების პროვოცირება, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი რუსეთთან შეერთების

მიზნით, მაგრამ იგი უმალვე იქნა ჩახშობილი. თუმცა კომუნისტური რუსეთი და ადგილობრივი კომუნისტები ინტენსიურად ნერგავდნენ აზრს ბურჟუაზიული საქართველოს მიერ აფხაზეთის ანექსიის შესახებ. რასაც თავისი შედეგები მოჰქონდა და აძლიერებდა უნდობლობას ქართველებსა და აფხაზებს შორის.

1921 წელს, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ოკუპირებული იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ, საქართველოს "დასჯის" ერთ-ერთი ელემენტი იყო აფხაზეთის ჩამოცილება და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა. ეს იმდენად ალოგიკური და უსაფუძვლო გადაწყვეტილება იყო, რომ მისი ავტორები მალევე დარწმუნდნენ მის აბსურდულობაში და უკვე 1921 წლის დეკემბერში (7 თვის შემდეგ) აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით. 1931 წელს კი საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა. ეს გადაწყვეტილება იმით იყო მოტივირებული, რომ რესპუბლიკის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი არ არსებობდა და ამ მხრივ აფხაზეთი ერთდერთი გამონაკლისი იყო მთელ საბჭოთა კავშირში. ამით იგი გაუთანაბრდა იმ ხალხებს, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდათ მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში (გაჩეჩილაძე, 2013).

აფხაზი ნაციონალისტებისათვის აღნიშნული ფაქტი ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ აფხაზეთის სტატუსი დაღმავალი გზით ვითარდებოდა (რესპუბლიკა _ მოკავშირე რესპუბლიკა სხვა რესპუბლიკის შემადგენლობაში _ ავტონომიური რესპუბლიკა), რაც მიზანმიმართული ნაბიჯია აფხაზი ხალხის ასიმილაციის გზაზე. ეს ვერაგული ნაბიჯი ქართველი ნაციონალისტების მიერ იყო დაგეგმილი. ხოლო მისი განხორციელება ეთნიკურად ქართველების სტალინისა და ბერიას ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზურმა ნაციონალიზმმა ჩამოყალიბებული ანტიქართული სახე მიიღო. მეტიც, მისი ძირითადი მიზანი აფხაზებში ანტიქართული

განწყობის საბოლოო დამკვიდრება იყო, რადგან აფხაზების ყველა უბედურებისა და გაჭირვების მიზეზად აფხაზეთის საქართველოს შემოდგენლობაში ყოფნა და აფხაზებზე ქართველების ბატონობა მიიჩნეოდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 30-50-იან წლებში საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისაგან მართლაც იქნა გადადგმული რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ნაჩქარევი და აფხაზი ხალხის ინტერესებისადმი შეუთავსებელი.

აფხაზები ამ მხრივ განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ პროცესს, რომელსაც ისინი ქართველების დემოგრაფიულ ექსპანსიას უწოდებენ. 30-50-ან წლებში მიმდინარეობდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ეთნიკური ქართველების ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში. სწორედ ეს მიაჩნიათ აფხაზებს მათი ძალდატანებითი ასიმილაციის მცდელობად და ამის დადასტურებად მიიიჩნევენ ფაქტს, რომ 1989 წლის აღწერით ქართველები შეადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 47%-ს, აფხაზები კი მხოლოდ 17%-ს, მაშინ როცა 1886 წლის მონაცემებით აფხაზები იყვნენ 83%, ქართველები კი მხოლოდ 9%.

ქართული მხარის მონაცემებით კი 1886 წელს ქართველები შეადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 51% (მეტი ვიდრე ოდესმე მას შემდეგ), აფხაზები კი 41%-ს. ამხელა განსხვავება კი იმით არის გამოწვეული, რომ სამურზაყანოელებს (მოსახლეობის 42%) აფხაზები აფხაზებად მიიჩნევენ (თუმცა მეგრულენოვანებად), ქართველები კი ცხადია, ქართველებად.

დემოგრაფიული ექსპანსიის მაჩვენებლად აფხაზები ხშირად იშველიებენ არგუმენტს, რომ 100 წლის განმავლობაში ქართველების რაოდენობა აფხაზეთში 6-ჯერ გაიზარდა, აფხაზებისა კი მხოლოდ 3-ჯერ. თუმცა ყურადღებას არ აქცევენ იმ ფაქტს, რომ იმავე პერიოდში რუსების რაოდენობა აფხაზეთში 72-ჯერ, სომხებისა კი 75-ჯერ გაიზარდა (თოთაძე, 1993).

რაც შეეხება ქართველი მოსახლეობის ორგანიზებულ ჩასახლებას აფხაზეთში, გასათვალისწინებელია, რომ საქართველო იმ პერიოდში არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ასეთ გადაწყვეტილებას თვითონ ვერ მიიღებდა. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო სუბტროპიკული მეურნეობის სწრაფი განვითარების მოთხოვნასთან და ამ სფეროს უზრუნველყოფასთან შრომითი რესურსებით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასე ორგანიზებულად ჩასახლებულ ქართველთა რაოდენობა დაახლოებით 50 ათასი იყო და და არა 150 ათასი, როგორც ამას აფხაზები ამტკიცებენ (Жоржолиани, 2000).

მეორე პრეტენზია, რასაც აფხაზები აყენებენ არის ის, რომ 30-იანი წლების ბოლოდან აფხაზეთის სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე გადავიდა. ეს აღქმული იქნა, როგორც აფხაზური სკოლების გაუქმება და ძალდატანებითი გაქართველების უხეში მცდელობა.

ცხადია ეს სერიოზული ბრალდებაა, მაგრამ რეალობა რამდენადმე განსხვავებული იყო. აფხაზურ სკოლებად იწოდებოდა ის სკოლები, სადაც დაწყებით კლასებში სწავლება მთლიანად აფხაზურად იყო, შემდეგ კი აფხაზური ენა რჩებოდა როგორც ერთი საგანი, სხვა საგნების სწავლება კი რუსულად ხდებოდა. 1938-53 წლებში რუსული ენა ქართულმა ჩაანაცვლა, ხოლო აფხაზური ენის პოზიცია იგივე დარჩა (დაწყებითი კლასები აფხაზურად, შემდეგ კი აფხაზური ენა, როგორც ერთ-ერთი საგანი). 1954 წლიდან ქართული ისევ რუსულით ჩანაცვლდა სსრკ ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით. ასე, რომ აფხაზების პრეტენზია საბოლოოდ დადის იმაზე, რომ რუსულის ნაცვლად ქართულად სწავლას გვაიძულებდნენო (Жоржолиани, 2000).

კიდევ ერთი ბრალდება ქართველებისადმი არის აფხაზური ანბანის ქართულ

გრაფიკაზე გადაყვანა. აფხაზური დამწერლობა 1892 წელს შეიქმნა ი. მაჭავარიანისა და დ. გულიას მიერ, რუსული გრაფიკის (კირილიცის) საფუძველზე. 20-იან წლებში გამოიყენებოდა ნ. მარის მიერ შედგენილი აფხაზური ანბანი ლათინურ გრაფიკაზე. შემდეგ კვლავ რუსულ გრაფიკაზე მოხდა გადასვლა, ხოლო 1938 წელს იგი შეცვალა ქართულმა დამწერლობამ, რომელიც აფხაზურ ფონეტიკას ბევრად უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე სლავური ან ლათინური. 1954 წელს აფხაზები დაუბრუნდნენ რუსულ გრაფიკას, რაც მოსკოვის მიზნებს შეესაბამებოდა და რასაც საქართველოს მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია.

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან აფხაზების ანტიქართულ განწყობას აშკარად დაუჭირა მხარი მოსკოვმა. ეს ბევრი ფაქტორით იყო განპირობებული. ჯერ ერთი თავისი უნიკალური ბუნებრივი პირობების გამო აფხაზეთი საუკეთესო საკურორტო-რეკრეაციული რაიონი იყო მთელს საბჭოთა კავშირში. საბჭოთა მაღალჩინოსან ნომენკლატურასა და განსაკუთრებით გენერალიტეტს საკუთარი აგარაკები აფხაზეთში ჰქონდათ. საქართველო რაღაცნაირად ზედმეტ რგოლად ჩანდა მოსკოვ-აფხაზეთის იერარქიაში, ამიტომ მისი უშუალოდ მოსკოვთან დაქვემდებარება საბჭოთა ცენტრალურ ბიუროკრატიას რა თქმა უნდა ხელს აძლევდა. მეორეც, რადგან აშკარად აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან რუსეთის შემადგენლობაში გადასვლა გაუმართლებელი იქნებოდა თვით საბჭოთა დიქტატურის პირობებშიც კი, იგი გარკვეული ბერკეტის როლს თამაშობდა მოსკოვ-საქართველოს დამოკიდებულებაში. თუ საქართველო რაიმე მოსკოვისათვის მიუღებელ ნაბიჯს გადადგამდა, მაშინვე ამუშავდებოდა "აფხაზური კოზირი". ხრუშჩოვს არა ერთხელ უთქვამს მუქარით საქართველოს ხელმძღვანელობისათვის "იცოდეთ, აფხაზებს მოგისევთო". მართლაც რამდენჯერაც საქართველოში რაიმე ნაბიჯი გადაიდგა, სადაც ქართულმა ნაციონალიზმმა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა (მაგ. ქართული ენის მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფო ენად), იმდენჯერ ადგილი ჰქონდა აფხაზი მოსახლეობის

გამოსვლას აფხაზეთის რუსეთთან შეერთების მოთხოვნით (timer.ge, 1992).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსი მეცნიერების წვლილი აფხაზური ნაციონალიზმის იდეოლოგიური ბაზის შექმნის საქმეში. სწორედ მოსკოვში იბეჭდებოდა ნაშრომები, რომლებიც უკიდურესად ტენდენციურად წარმოაჩენდა აფხაზეთის ისტორიას და საქართველოსთან მის დამოკიდებულებას. ამ მხრივ აღსანიშნავია გ. ვორონოვის შრომები, რომელიც ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა. დაამტკიცოს რომ აფხაზებს არც ისტორიით, არც კულტურით არაფერი საერთო არა აქვთ ქართველებთან და მხოლოდ სტალინ-ბერიას თვითნებობის გამო აღმოჩნდა ეს უძველესი ცივილიზაციის და კულტურის ხალხი საქართველოს შემადგენლობაში. მითი აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის 3 ათასწლიან ისტორიაზე (ეს მაშინ, როცა არც ერთ ჩრდილო კავკასიელ ხალხს საერთოდ არ ჰქონიათ სახელმწიფო, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით), მით უფრო რომ ამას სხვა ეროვნებას მეცნიერი ამტკიცებს, სავსებით მისაღები და სიამაყის საგანია აფხაზი ხალხისათვის. იგი ბუნებრივად სვამს საკითხს: რატომ უნდა ვიყო მე, სამიათასწლიანი სახელმწიფოებრიობის მქონე ერი, სხვა, ჩემზე ნაკლები ისტორიის და კულტურის მქონე ქვეყნის შემადგელობაში (Воронов, 1986).

კიდევ უფრო შორს წავიდა პროფ. გ. ტურჩანინოვი. მან აფხაზურად "წაიკითხა" ძვ.წ. მეორე ათასწლეულით დათარიღებული უცნობი წარწერა (ე.წ. მაიკოპოს ქვა) და "დაამტკიცა", რომ აფხაზურ ანბანს ერთი საუკუნის ისტორია კი არა აქვს, არამედ იგი ყველაზე ძველი ანბანია მსოფლიოში. აფხაზებისგან გადაიღეს ანბანი ფინიკიელებმა, ხოლო რადგან ფინიკიური ანბანი საფუძველია ფაქტიურად ყველა სხვა არსებული ანბანისათვის, გამოდის, რომ ყველა დამწერლობის სათავესთან აფხაზები მდგარან და მთელი მსოფლიო დიდად არის დავალებული მათგან (Турчанинов, 1999).

რასაკვირველია ასეთ "მტკიცებებს" არც ერთი სერიოზული მეცნიერი ყურსაც არ ათხოვებს (მათ შორის არც აფხაზი) და მის ავტორს კრიტიკის ღირსადაც არ ჩათვლის. მაგრამ გაუცნობიერებელი მასისათვის იგი ძალზე შთამბეჭდავია და ურყევ

ჭეშმარიტებად აღიქმება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ აფხაზების მნიშვნელოვან ნაწილს ამ ზღაპრების სჯერა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ აფხაზური ნაციონალიზმი სრულიად ჩამოყალიბებული ფენომენია. იმ ფაქტმა რომ მის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის გარკვეულმა წრეებმა და გამოკვეთილ (კერძოდ, ანტიქართულ) მიზნებს ემსახურებოდა, მას ძალზე თავისებური, შეიძლება ითქვას აგრესიული სახე მისცა. აფხაზების მიერ იგი როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა ისე აღიქმება. ამიტომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მან ძირითადი იდეოლოგიის როლი შეასრულა აფხაზური მხარისათვის. ეს კი სხვა ფაქტორებთან ერთად მათი წარმატების ერთ-ერთი საწინადარი იყო.

რუსეთის ხელისუფლებისა და განსაკუთრებით სამხედრო „ვერხუშკის“ ძალისხმევის შედეგად აფხაზეთის გამარჯვებამ საქართველოსთან კონფლიქტში და ქართველთა ეთნოწმენდის განხორციელების შემდეგ, აფხაზური ნაციონალიზმის ანტიქართული ხასიათი ოფიციალურ იდეოლოგიად იქცა, ხოლო 2008 წელს მოსკოვის მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებამ აფხაზური ნაციონალური იდეა საბოლოოდ შეცვალა. თუ ადრე ის მხოლოდ საქართველოდან სეცესიას ისახავდა მიზნად და ძირითადი მიზანი რუსეთის შემადგენლობაში შესვლა იყო, ახლა ის ცალსახად დგას აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის პოზიციაზე, ეწინააღმდეგება რუსეთის პოზიციების გაძლიერებას აფხაზეთში (მაგ. ბიჭვინთის რუსეთისათვის იჯარით გადაცემას) რაც უკვე თვითონ რუსეთისთვისაც არ არის სასიამოვნო.

ოსური ნაციონალიზმი

ოსური ნაციონალიზმი XIX საუკუნის ბოლოს ჩაისახა და მის სათავეებთან ახლადჩამოყალიბებული ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლები იდგნენ. იგი ადგილობრივ ნიადაგზე წარმოიშვა და ძირითად იდეად ოსური ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, ეროვნულ კულტურაზე ზრუნვას, ოსურ ენაზე

დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას ისახავდა. აფხაზური ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, ოსურ ნაციონალიზმს რუსეთის ოფიციალური წრეებიდან რაიმე სერიოზული მხარდაჭერა და წახალისება არ ჰქონია, რადგან მისი გამოყენება სხვა რომელიმე უფრო სერიოზული და ძლიერი ნაციონალიზმი წინააღმდეგ იმ პერიოდში უსაფუძვლო იქნებოდა. ტერმინი "ოსეთი" აღნიშნავდა ტერიტორიას კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით და დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიას მოიცავდა. არავითარი ოსეთი კავკასიონის ქედის სამხრეთით (საქართველოს ტერიტორიაზე) არ არსებობდა. აქ მხოლოდ ოსების კომპაქტური დასახლება იყო, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში მიმდინარე მიგრაციის შედეგი იყო. ამდენად არც ოსებს ჰქონიათ პრეტენზია, რომ საქართველოს შუაგულში მათი ისტორიული სამშობლო მდებარეობდა და არც ქართველებს უფიქრიათ, რომ ოსებით დასახლებული ტერიტორია საქართველო არ იყო.

ოსური მეცნიერების პატრიარქად წოდებული, აკადემიკოსი ვასილ აბაევი ხაზგასმით აღნიშნავდა: „კავკასიონის მთავარი ქედი ბუნებრივი საზღვარია საქართველოსა და ოსეთს შორის და ნებისმიერი მცდელობა ამ საზღვრის წაშლისა გამოიწვევს პერმანენტულ კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის“ (Независимая газета 1992).

ოსური ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას და საერთოდ ოსურ ნაციონალიზმს ცხადია, დიდად არ მიესალმებოდა რუსეთი, სადაც ინტენსიური რუსიფიკატორული პოლიტიკა ტარდებოდა და პატარა ერის ნაციონალიზმს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა მხარდაჭრა, თუ იგი რუსეთისათვის უფრო საშიშ და მიუღებელი რომელიმე ერის ნაციონალიზმის წინააღმდეგი იქნებოდა მიმართული (როგორც ეს აფხაზური ნაციონალიზმის შემთხვევაში გვქონდა). მაგრამ იმის გამო, რომ ოსები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ერთადერთი იყვნენ, რომლებიც ისლამს არ აღიარებდნენ და ფორმალურად მართლმადიდებულად ითვლებოდნენ (თუმცა წარმართული

რელიგიების ძლიერი გადმონაშთებით), ამასთანავე ისინი მტრულად არ შეხვედრიან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას და პირიქით რუსების მხარეს იბრძოდნენ კავკასიის ომებში და რაც მთავარია, ოსური ნაციონალიზმი არასოდეს არ ისახავდა მიზნად სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და რუსეთის შემადგენლობიდან გასვლას, ამიტომ რუსეთისათვის ოსური ნაციონალიზმი არ წარმოადგენდა საფრთხის შემცველს და მტრულს, (როგორც იმ ხალხების ნაციონალიზმი, რომლებიც თავიანთ მიზნად სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და რუსეთის იმპერიიდან გასვლას ისახავდნენ). მეტიც, რუსეთი მალე მიხვდა, რომ ოსური ნაციონალიზმიც ისევე შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს წინააღმდეგ, როგორც აფხაზური ნაციონალიზმი.

ოსების ქართველებისგან გაუცხოებისა და რუსებთან დაახლოებისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო ოსური ანბანის ქართული გრაფიკიდან რუსულზე გადაყვანა. ამის მიზეზებზე გულახდილად წერს ოსი მეცნიერი ა. გალაზოვი (შემდეგში ის ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა): „ცარიზმს არ უნდოდა სამხრეთელი ოსები მთლიანად გათქვეფილიყვნენ ქართველებში. სამხრეთი ოსეთი უნდა შენარჩუნებულიყო, როგორც საიმედო პლაცდარმი, საიდანაც შეიძლებოდა, საჭიროების შემთხვევაში, ჯიუტ ქართველ მმართველებზე სათანადო ზეწოლის მოხდენა“ (გაჩეჩილაძე 2013).

მაგრამ ოსური ნაციონალიზმის ნამდვილი დაპირისპირება ქართულ ნაციონალიზმთან მაშინ დაიწყო, როცა პირველად იქნა ხმარებული ტერმინი "სამხრეთი ოსეთი" ოსებით დასახლებულ საქართველოს ცენტრალური პროვინციის მიმართ. რუსეთის იმპერიის არსებობის წლებში ამ სახელწოდებით არავითარ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული არ არსებობდა. იგი ერთ-ერთი მაზრის (გორის) ჩრდილოეთ ნაწილს აერთიანებდა, მაგრამ თვითონ ასეთი ცნება თავისთავად ოს მოსახლეობაში ბადებდა განწყობას, რომ ის ტერიტორია სადაც ისინი ცხოვრობდნენ

საქართველო კი არა ოსეთია, ამგვარად გამოიკვეთა ისეთივე წინააღმდეგობა, რაც აფხაზურ და ქართველ ნაციონალიზმის დაპირისპირების დროს გვქონდა; სამხრეთ ოსეთი არ არის საქართველო და ამაზე თვით სახელწოდება მიგვანიშნებს - ოსეთი ოსეთია და არ შეიძლება ის საქართველო იყოს.

სწორედ ეს დაპირისპირება გამოიყენეს ბოლშევიკებმა 1920 წელს, როცა ჩრდილოეთ ოსეთში ისევე როგორც მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე საბჭოთა ხელისუფლება იყო დამყარებული, ხოლო საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო. რუსეთმა წაახალისა და ორგანიზება გაუკეთა შეიარაღებულ აჯანყებას ოს მოსახლეობაში საქართველოს წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რუსეთთან შეერთების მოთხოვნით. ეს აჯანყება საქართველოს ხელისუფლების მიერ მკაცრად იქნა ჩახშობილი, ათობით ოსური სოფელი გადაწვეს, ხოლო ოსების დიდი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში გაიხიზნა. აღნიშნულმა მოვლებებმა ქართველი და ოსი ხალხები სერიოზულად დაუპირისპირა ერთმანეთს. ხოლო ბოლშევიკურმა რუსეთმა მადლიერება ოსეთის აჯანყების მიმართ იმით გამოხატა, რომ საქართველოს ანექსიისა და სოვეტიზაციისთანავე შუაგულ საქართველოში შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამგვარად ტერმინმა "სამხრეთ ოსეთმა" პოლიტიკურ-ტერიტორიული შინაარსი შეიძინა. ხოლო 1924 წელს (სამხრეთ ოსეთის შექმნიდან ორი წლის შემდეგ) ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიიღო ისტორიულმა ოსეთმაც ჩრდილოეთ ოსეთის სახელწოდებით. დადგა პრობლემა ოსების გაყოფილ ერად და ორი ოსეთის არსებობის შესახებ. ასეთი პირობებში კი გაერთიანების სურვილი სრულიად ბუნებრივია.

ქართული მხარის აზრით საქართველოს რუკაზე ერთი დახედვაც საკმარისია, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნურობაში დავრწმუნდეთ. სამი მხრიდან იგი ეთნიკურად ერთგვაროვანი (ქართული) პროვინციებით არის შემოსაზღვრული, ჩრდილოეთიდან კი კავკასიონის მთავარი ქედი (3 ათასი მ სიმაღლის)

გამოჰყოფს ჩრდილოეთ ოსეთისაგან (რუსეთისაგან). 1988 წლამდე ამ ქედზე არავითარი საავტომობილო გზა არ არსებობდა და მხოლოდ ბილიკით შეიძლებოდა დაკავშირება. 1988 წელს როკის გვირაბმა დააკავშირა ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი, თუმცა ზამთარში ეს გზა საკმაოდ ხშირად დაკეტილია. ამიტომ გაერთიანება თუნდაც გეოგრაფიული თვალსაზრისითაც კი სრულიად უსაფუძვლოა, რადგან მთელი ეკონომიკური კავშირები სამხრეთ ისეთს მეზობელი ქართველ რაიონებთან ჰქონდა. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ საქართველოდან სამხრეთ ისეთის ჩამოცილება ისეთ სიცარიელეს აჩენს საქართველოს შუაგულში და ქვეყნის საზღვრები ისეთ კონფიგურაციას იღებს, რომ ანალოგი მთელს მსოფლიოში არ მოიძებნება. (დაახლოებით ასეთივე პრობლემა ექნებოდა კანადას კვებეკი რომ ჩამოსცილებოდა).

როგორც ჩანს ამას თვითონ ოსებიც ხედავდნენ და თუ 20-იანი წლების ფანატიკოს კომუნისტებს არ ჩავთვლით (რომლებსაც 1920 წლის აჯანყების ჩახშობის მაგალითი ახსოვდათ) აშკარად, სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გასვლის მოთხოვნა არ წამოუყენებიათ. ზემოთნახსენები ვ. აბაევი წერდა კიდეც, რომ „პირველ რიგში ბოლო უნდა მოეღოს ლაპარაკს სამხრეთ ოსეთის საქართველოდან მოწყვეტას. საქართველოს არცერთი მთავრობა ამას არასოდეს არ შეურიგდება და მართალიც იქნება, რადგან ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ნიშნავს. ვისაც სურს მშვიდობა სამხრეთელ ოსებსა და ქართველებს შორის სამუდამოდ უნდა უკუაგდოს სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანების იდეა. ვისაც სურს მშვიდობა საქართველოსა და რუსეთს შორის, ასევე უნდა დაივიწყოს ეს იდეა. ასეთია რეალობა“ (Независимая газета, 1992).

რაც შეეხება ოსეთის ორ ნაწილად გაყოფას, ასეთი მაგალითები მისი აზრით ბევრია. მაგ. ბასკები ესპანეთსა და საფრანგეთში ან ფრიზები ჰოლანდიასა და გერმანიაში (თუმცა, ჩვენი აზრით, ეს შედარება მთლად ადექვატური არ არის, რადგან ბასკები და ფრიზები თავიანთ ისტორიულ, ეთნიკურ ტერიტორიაზე სახლობენ,

საქართველოში მაცხოვრებელი ოსები კი იმიგრანტთა შთამომავლები არიან). თვითონ ვ. აბაევი ხაზს უსვამდა ოსების როგორც ირანულენოვანი ალანების შთამომავლობის და შესაბამისად კავკასიაში მათი მიგრაციის საკითხს. მაგრამ თუ ისტორიულ ოსეთში (ჩრდილოეთ ოსეთში) მოხდა მათი ეთნოგენეზისი (ალანების და ადგილობრივი კავკასიელი ხალხების შერწყმის შედეგად), საქართველოში, კერძოდ სამხრეთ ოსეთში, მათ მხოლოდ XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისიდან იწყეს დასახლება (Независимая газета, 1992).

ოსური ნაციონალიზმი რადიკალურ ნაწილს ასეთი ხედვა არ აკმაყოფილებდა. აუცილებელი იყო მათი უკიდურესი მოთხოვნების ყველანაირად გამართლება. ამ მიზნით გამოჩნდა ისეთი ლიტერატურა და სტატიები, სადაც ფანტასტიკურად არის გაზვიადებული ოსების და მათი წინაპრების (ალანების) ისტორია. (ყოველ შემთხვევაში ასე მიიჩნევენ ქართველი და არა მარტო ქართველი მეცნიერები). კერძოდ, ალანები წარმოჩენილნი არიან, როგორც ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი და მეომარი ხალხი, რომლებიც ფაქტიურად მთელ ევროპას სცემდნენ თავზარს. ამასთანავე ისევე როგორც აფხაზური ანბანის შემთხვევაში, ოსური (ალანურ) დამწერლობას ჯერ კიდევ ძვ. წ. XII-XI საუკუნეებით ათარიღებენ. ხოლო ევროპის მთელი რიგი მდინარების სახელწოდებებს (დონი, დნეპრი, დნესტრი, დუნაი) ოსური ენის საფუძველზე ხსნიან. სამხრეთ ოსეთის ცენტრში ქ, ცხინვალში თვალსაჩინო ადგილზეა მოსკოვში დაბეჭდილი ერთ-ერთი ისტორიული რუკის უზარმაზარი ასლი, სადაც ძვ.წ. III-II საუკუნეების კავკასიაში, საერთოდ არ არის აღნიშნული ქართული სახელმწიფო (კოლხეთი, იბერია) და მთელი საქართველოს ტერიტორია ალანიის შემადგენლობაშია შეყვანილი. ეს თავისებური "არგუმენტია", რომ ოსები (ოსური ნაციონალიზმი ცალსახად აიგივებს ოსებს ალანებთან) მკვიდრი მოსახლეობაა სამხრეთ კავკასიაში, შემდეგ მათ დატოვეს ეს ტერიტორია და XVII საუკუნიდან ისევ დაბრუნდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1994 წლის სანკტ-პეტერბურგში გამოქვეყნებული.

წიგნი "ოსეთი და ოსები" (Осетия и Осетины, 1994). აქ არა მარტო ოსეთის ისტორიაა წარმოჩენილი ფანტასტიკურ დონეზე, არამედ საქართველოს ისტორიაში ოსების დამსახურებაა, რომ ქართველები, საერთოდ არსებობენ. ხოლო ბევრი გამოჩენილი ქართველი პიროვნება წარმოშობით ოსი ყოფილა. განსაკუთრებით ტენდენციურად არის წარმოდგენილი 1991-92 წლების ქართულ-ოსური კონფლიქტი, სადაც ქართველების მხეცობის და ბარბაროსობის საშინელი სურათია წარმოჩენილი უდანაშაულო ოსი მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალების, ბავშვებისა და მოხუცების მიმართ). ასეთი წიგნი გაუცნობიერებელ ოსში ბადებს უსაზღვრო ეროვნული ყოყოჩობის გრძნობას და ასევე შეურიგებელ სიძულვილს ქართველების მიმართ. ეს კი უკიდურესი ეთნონციონალიზმის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

ფაქტია, რომ ოსურმა ნაციონალიზმა განიცადა სერიოზული ტრანსფორმაცია, კულტურულ-ლიბერალური ნაციონალიზმიდან პოლიტიკურ ეთნონაცინალიზმამდე. მან (კერძოდ სამხრეთ ოსეთში) სწორედ ასეთი სახე მიიღო. ეს კი საკვებით აძლევდა ხელს რუსეთს, რომელიც ასეთი "ცხელი წერტილების" საშუალებით ცდილობდა თავის გავლენის ქვეშ ყოლოდა საქართველო.

ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთმა იმისათვის, რომ რამენაირად შეეჩერებინა საქართველოს აქტიური სწრაფვა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში (განსაკუთრებით ნატოში) გაწევრიანებისაკენ, კვლავ ჰქონოდა სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე და სამაგიერო გადაეხადა დასავლეთისთვის კოსოვოს აღიარების გამო, სწორედ ოსები გამოიყენა პროვოკაციისათვის. ოსური მხარის მხრიდან ქართული სოფლების დაბომბვის საპასუხოდ, საქართველოს არმიამ ცეცხლი გაუხსნა ცხინვალს, რაც საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის საბაბი გახდა. ხუთღღღიანი ომის შედეგად, რუსებმა მოახდინეს ყოფილი სამხრეთ ოსეთის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია. ქართველმა მოსახლეობამ დატოვა რეგიონი, ოსებმა მთლიანად გადაწვეს და გააცამტვერეს ქართული სოფლები.

რუსეთმა ცნო სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ (რაც არასოდეს ყოფილა ოსური ნაციონალიზმის მიზანი), რეალურად კი მთელი მისი ტერიტორია რუსულ სამხედრო ბაზად აქცია.

დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც აფხაზური, ისე ოსური სეპარატიზმის საფუძველი და მთავარი მამოძრავებელი ძალა ანტიქართული ნაციონალიზმია, რომლის ჩამოყალიბებასა და წახალისებაში ლომის წილი რუსეთს და მისი ხელისუფლების იმპერიალისტურ პოლიტიკას მიუძღვის.

აფხაზური და ოსური ნაციონალიზმის ანტიქართული შინაარსით დამკვიდრების ძირითადი მიზანი იყო ქართველებისთვის, როგორც იმ ხალხისათვის, რომელიც რუსეთისგან განთავისუფლებისა და საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის იბრძოდა, შეექმნა ძლიერი ბარიერი ეთნიკური უმცირესობების სეპარატიზმისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფრთხის სახით.

აფხაზებისა და ოსების შემთხვევა კარგი მაგალითია, თუ როგორ აყალიბებს ნაციონალიზმი ერებს, როგორც წარმოსახვით საზოგადოებას, გამოგონილი ისტორიით, გეოგრაფიით და ტრადიციებით და დადასტურებაა იმისა, რომ ნაციონალიზმი ქმნის ერებს და არა ერები ნაციონალიზმს, რაც კონსტრუქტივიზმის და ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის საფუძველია.

რუსეთის მიერ წახალისებული და ადგილობრივი ინტელიგენციის მიერ განვითარებული აფხაზური და ოსური ნაციონალიზმი, უკიდურესად გაზვიადებული, ფანტასტიკამდე მისული ისტორიით, გამორჩეულობის რწმენის დამკვიდრებითა და ანტიქართული განწყობით, განსაზღვრავს აფხაზურ და ოსურ ნაციონალურ იდეას, რომელიც დიამეტრიულად უპირისპირდება ქართულ ნაციონალურ იდეას.

კერძოდ, ქართველებისთვის აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი პროვინციაა, რომლის ისტორია საქართველოს ისტორიის ნაწილია (ისევე, როგორც ქართლის, კახეთის თუ იმერეთის). აფხაზებისთვის კი აფხაზეთი სრულიად სხვა სახელმწიფოა და მას ბევრი არაფერი აქვს საერთო საქართველოსთან. ქართული მხარე თვლის, რომ არანაირი ოსეთს საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს უარსებია და ე.წ. სამხრეთი ოსეთი ბოლშევიკების მიერ ხელოვნურად შექმნილი ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომლის შექმნაც საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ აქტს წარმოადგენდა. ოსებს კი მიაჩნიათ, რომ ოსეთი ერთიანი ქვეყანაა, რომელიც ხელოვნურად გაყვეს და მისი სამხრეთი ნაწილი უკანონოდ შეიყვანეს საქართველოს შემადგენლობაში. ამდენად ორი ოსეთი უნდა გაერთიანდეს და რუსეთის შემადგენლობაში იყოს.

როცა ერთ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ხალხების ნაციონალური იდეა ასეთ უკიდურეს წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან, იქ კონფლიქტი თითქმის გარდაუვალია. და თუ სეპარატისტულ ნაციონალიზმს ისეთი ძლიერი მხარდამჭერი ჰყავს, როგორც რუსეთია, კონფლიქტი უკიდურესად მძიმე და სისხლიან სახეს იღებს, რასაც საქართველოს მაგალითიც ადასტურებს.

რომ შევაჯამოთ, აფხაზური და ოსური ნაციონალიზმისათვის საერთო ნიშანია მათი ანტიქართული, სეპარატისტული შინაარსი და რუსეთის მხრიდან მხარდაჭერა და წახალისება. განმასხვავებელი კი ისაა, რომ ოსური ნაციონალიზმი არ ისახავს მიზნად დამოუკიდებლობას და მთავარ ამოცანად რუსეთის შემადგენლობაში ერთიანი ოსეთის არსებობას მიიჩნევს. უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ ხალხი, რომელსაც მართალია ფორმალურად, მაგრამ მაინც, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი აქვს და რუსეთის გარდა კიდევ რამდენიმე ოდიოზური სახელმწიფოც აღიარებს, ითხოვდეს ამ დამოუკიდებლობაზე უარის თქმას და რუსეთის ნაწილად ქცევას ისახავდეს მიზნად.

ოსური ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, აფხაზურმა ნაციონალიზმმა ტრანსფორმაცია განიცადა. თუ ადრე მისი მთავარი მიზანი საქართველოდან გასვლა

იყო და მეორეხარისხოვნად მიაჩნდათ ამის შემდეგ რა სტატუსი ექნებოდათ (თუმცა უმრავლესობა აფხაზეთის მომავალს რუსეთის შემადგენლობაში ყოფნაში ხედავდა), ახლა აფხაზური ნაციონალიზმი მყარად იცავს აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეას და წინააღმდეგია არა მხოლოდ აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლისა, არამედ იმისაც, რომ აფხაზეთში რუსეთის პოზიციები ძლიერდებოდეს და უძრავი ქონების სხვადასხვა ობიექტებს რუსები ეპატრონებოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ფაქტობრივად რუსეთის მიერ შექმნილი აფხაზური ნაციონალიზმი მომავალში თვითონ რუსეთს დაუპირისპირდეს.

ფაქტია, რომ თავდაპირველად რუსეთის მიერ ხელშეწყობილმა და წახალისებულმა, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულმა აფხაზურმა და ოსურმა ნაციონალიზმმა, მოგვიანებით ისეთი ანტიქართული და სეპარატისტული შინაარსი შეიძინა უკვე რუსეთის გარეშეც, რომ ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები გარდაუვალი გახდა ანუ ეს კონფლიქტები მაინც მოხდებოდა რუსეთის ფაქტორი სულაც რომ გამორიცხული ყოფილიყო.

ასეთ პირობებში კი ძნელი გასაზიარებელია წარმოდგენა, რომ თუ რუსეთი გვერდზე გადგება და მისი ფაქტორი გამოირიცხება, საქართველო უპრობლემოდ აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას. აფხაზური და ოსური ნაციონალიზმის ანტიქართული, სეპარატისტული შინაარსი და ამ ხალხების ნაციონალური იდეა გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისინი ნებაყოფლობით საქართველოს შემადგენლობაში არ დაბრუნდებიან. ძალისმიერი მეთოდიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კი სისხლისღვრასთან და მსხვერპლთან იქნება დაკავშირებული.

ბიბლიოგრაფია

აკობია ეკა - საერთაშორისო ურთიერთობების თეორია . CSS. თბილისი 2006.

ანდერსონი ბენედიქტ - წარმოსახვითი საზოგადოებანი. გამომცემლობა „ენა და კულტურა“. თბილისი 2003.

გაჩეჩილაძე რევაზ - საქართველო მსოფლიო კონტექსტში. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი 2013.

დავითაშვილი ზურაბ - ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. „მეცნიერება“ თბილისი 2003

თოთაძე ანზორ - საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბილისი 1993

ნოდია გია - კონფლიქტი აფხაზეთში: მიზეზები და გააზრება. თბილისი 1999

როგორ მწიფდებოდა რუსეთ-საქართველოს ომი? https://www.timer.ge/14-08-1992-rogor-mtsipdeboda-ruseth-saqarthvelos-omi/

საგარეო პოლიტიკა: თეორიები, აქტორები, ქეისები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2021

ჯონსი სტივენ - საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის თ გამოცხადების შემდეგ. CSS, თბილისი 2013

German Tracey, Bloch Benjamin – The South Ossetian Conflict: Collision of Georgian and Russian interests. In Politique Etrangere, Issue 1, January 2006. p.p. 51-64

Ozkirimli Umut – Theories of Nationalism: A Critical Introduction. Macmillan Press LTD. 2000

Воронов Ю. Н. Очерки Истории Абхазии (до XIX Века) Сухуми

Жоржолиани Георгий. – Исторические и политические корни конфликта в Абхазии (Грузия) Тбилиси, "Мецниереба", 2000

Независимая газета 1992 г.,22. I., №13

Осетия и Осетины. Санкт Петербург. 1994

Трубецкой Н.С. – О Народах Кавказа. https://topwar.ru/28710-nstrubeckoy-o-narodah-kavkaza.html

Турчанинов Г.Ф. - Открытие и дешифровка древнейшей письменности Кавказа. Москва 1999